ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი

N(N)LE Saint Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia

№ _____ 26.08 2022 წ.

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის
დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენლის

ბრძანება № 21

ქ. თბილისი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლაში საუნივერსიტეტო დაფინანსების მქონე საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტების 2022- 2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის სწავლის გადასახადისგან გათავისუფლების და ამავე საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისთვის, რომლებმაც წინა - 2021 -2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრი ვერ დაასრულეს მაღალი აკადემიური მაჩვენებლით, ან ისარგებლეს შიდა მობილობით, მიმდინარე სემესტრის სწავლის საფასურის დაკისრების შესახებ

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 15 დეკემბრის №10, 2016 წლის 15 ივლისის N14 და 5 დეკემბრის N22 ოქმების, უნივერსიტეტის დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენლის 2018 წლის 20 მარტის N20 ბრძანების "ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების გზით ჩარიცხულ სტუდენტთათვის სწავლის შეღავათიანი პირობების განსაზღვრის შესახებ"; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის დეკანატიდან წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. გათავისუფლდნენ საუნივერსიტეტო დაფინანსების მქონე საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე თვითდაფინანსების ფარგლებში დაკისრებული სწავლის საფასურის გადახდისგან 2022 – 2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ამ ბრძანების ***N1 დანართში*** მითითებული ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის სტუდენტები, რომლებმაც წინა - 2021 – 2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრი

დაასრულეს მაღალი აკადემიური მაჩვენებლით (სტუდენტსა და უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად).

2. დაეკისროთ სწავლის სემესტრული საფასურის გადახდა 2022 – 2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ამ ბრძანების *N2 დანართში* მითითებულ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის საუნივერსიტეტო დაფინანსების მქონე საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებს, რომლებმაც წინა - 2021 – 2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრი ვერ დაასრულეს მაღალი აკადემიური მაჩვენებლით (სტუდენტსა და უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად), ან ისარგებლეს შიდა მობილობით.

3. ბრძანება გასაცნობად და შემდგომი რეაგირებისთვის დაეგზავნოთ: სასწავლო პროცესის რეგულირებისა და სტუდენტთა მომსახურების სამმართველოს; უნივერსიტეტის ბუღალტერიას, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის დეკანატს.

4. ბრძანების შინაარსი აისახოს სტუდენტთა საუნივერსიტეტო მონაცემთა ბაზაში.

5. ბრძანების მე-4 პუნქტების აღსრულება დაევალოს სასწავლო პროცესის რეგულირებისა და სტუდენტთა მომსახურების სამმართველოს.

6. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე. განთავსება დაევალოს საზოგადოებასთან და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

უნივერსიტეტის დამფუძნებლის
სრულუფლებიანი წარმომადგენელი,
ბოდბელი მთავარეპისკოპოსი
იაკობი (იაკობიშვილი) + მიუავე იაკობი

დანართი 1

ა) ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

N	გვარი, სახელი	სემესტრი
1	შამხალაშვილი ევა	8
2	ბაგალიშვილი თეონა	7

ბ) ისტორიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

N	გვარი, სახელი	სემესტრი
1	გრიგალაშვილი მარიამ	7

დანათი 2

ბ) ისტორიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

N	გვარი, სახელი	სემესტრი
1	გიორგაძე ელენე	6